

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

25/ 07 2017 წ.

თბილისი

№ 395

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამედიცინო დახმარების საკითხების  
შემსწავლელი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცებული წესის 15<sup>1</sup> მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №998 ბრძანებით დამტკიცებული წესის 12<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) სამედიცინო დახმარების საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ვარდიანაშვილი (კომისიის თავმჯდომარე) – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ბ) მერაბ გოცირიძე (კომისიის თანათავმჯდომარე) – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი;

გ) თეონა გეჭაძე – სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (განყოფილება) მთავარი სპეციალისტი (დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე);

დ) ირაკლი წოწორია – სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსი;

ე) თამარ ხუბერაშვილი – სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;



ვ) გიორგი ცხვედიანი - სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველო) უფროსი (მთავარი სამმართველოს უფროსი);

ზ) შალვა მაღლაკელიძე - სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამედიცინო-სადაზღვევო სამსახურის უფროსი;

თ) მირიან კობახიძე - სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ი) ლაშა ბერიძე - სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის (სამმართველოს უფროსი);

კ) თინათინ ხუციშვილი (კომისიის მდივანი) - სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი (სამედიცინო სტატისტიკოსი).

2. დამტკიცდეს კომისიის დებულება თანდართული რედაქციით.



3. ბრძანება გაეცნოს კომისიის წევრებს, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს.

4. დაევალოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს ამ ბრძანების დაქვემდებარებული მოსამსახურეებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი



გიორგი მღებრიშვილი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამედიცინო დახმარების საკითხების  
შემსწავლელი კომისიის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) სამედიცინო დახმარების საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობის წესს, ასევე სამინისტროს მოსამსახურეთა მკურნალობის დაფინანსების საფუძველსა და პირობებს.

2. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება ერთჯერადი დახმარების, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის მიხედვით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით დადგენილი ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის შემთხვევებზე.

3. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლის საფუძველი

1. სამინისტროს მოსამსახურის მკურნალობის დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელი მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასაბუთებული პატაკით, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ფორმა №100;

ბ) ინვოისი;

გ) კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

დ) სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ.

2. კომისიის მდივანი განიხილავს ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პატაკს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და უზრუნველყოფს ინფორმაციის შესაბამისი კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

3. კომისია სამედიცინო დახმარების საკითხს იხილავს იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს მოსამსახურის მკურნალობის საჭიროება უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებულ ჯანმრთელობის დაზიანებას და მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა აღემატება 10000 (ათი ათასი) ლარს.

მუხლი 3. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია:

ა) სამინისტროს მოსამსახურის სამედიცინო დახმარების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეისწავლის წარდგენილ მასალას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოითხოვს საჭირო დოკუმენტაციას;

ბ) იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სამინისტროს მოსამსახურის საქართველოში ან საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

4. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. შესაძლებელია, კომისიის წევრის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს კომისიის სხდომაზე დაუსწრებლად, ელექტრონული ოქმის ვიზირებით.

6. კომისიის წევრთა განსაკუთრებული მოსაზრებები აღინიშნება ოქმში ან დაერთვის მას.

#### **მუხლი 4. კომისიის თავმჯდომარე**

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს კომისიის სხდომას;

ბ) უძღვება სხდომას დღის წესრიგის შესაბამისად;

გ) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის საქმიანობაში სამინისტროს დანაყოფებიდან ექსპერტებისა და კონსულტანტების ჩართულობის შესახებ.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას მისივე დავალებით ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

#### **მუხლი 5. კომისიის მდივანი**

კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას და ხელშეწყობას, კომისიის მიერ განსახილველი საკითხებისა და მასალის მომზადებას;

ბ) ამზადებს კომისიის სხდომის დღის წესრიგს;

გ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.

#### **მუხლი 6. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება**

სამინისტროს მოსამსახურის საქართველოში ან საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება შემდგომი მსვლელობისათვის ეგზავნება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს.